ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №23
2015 წლის 21 ივლისი

ქ. ხონი

,,ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გეცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1
„ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 მარტის №8 დადგენილებაში (სსმ, 010250020.35.119.016234) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:
1. დადგენილების II თავის მესამე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1“. მიუხედავად სულადობისა იმ მომენტისათვის კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწევათ იმ ოჯახებს, რომელთაც სსიპ – მომსახურების სააგენტოს მოკვლევის შედეგად მიენიჭა 65 000-დან 80 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა. დახმარება განისაზღვროს 100 ლარის ოდენობით.".

2. დადგენილების II თავის მერვე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2“. ხონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბენეფიციარები, რომელთაც სსიპ – მომსახურების სააგენტოს მომსახურების შედეგად მიენიჭა 1-დან 65001-მდე, სარეიტინგო ქულა სამედიცინო სადაზღვევო პროგრამის დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება განისაზღვროს 1000(ათასი) ლარამდე 100%-ით. ხოლო იმ ბენეფიციარებს, რომელთაც სსიპ – მომსახურების სააგენტოს მოკვლევის შედეგად მიენიჭა 65001-დან 100001-მდე სარეიტინგო ქულა თანადაფინანსება განისაზღვროს წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ანგარიშფაქტურით) განსაზღვრული თანხის 50%-ით (არაუმეტეს 500 – ლარისა). ხოლო იმ ბენეფიციარებს, რომელთაც სსიპ – მომსახურების სააგენტოს მოკვლევის შედეგად მიენიჭა 100001-დან ზევით ან არ არის რეგისტრირებული სსიპ – მომსახურების სააგენტოში. თანადაფინანსება განისაზღვროს წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ანგარიშფაქტურით) 30%-ით (არაუმეტეს 300 – ლარისა).".
მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ვალერი ბახტაძე